ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №26

ქ. რუსთავი 09 მარტი 2022წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ,,ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება" (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინა ხუციშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ნიუ სთაილ გრუპი" (შემდგომში მიმწოდებელი) წამოდგენილი დირექტორის ბაქარ ბუცხრიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.შესყიდვის ობიექტი

1.1 საჭმელი სოდის შეძენა (CPV24312210) დანართი№1-ის შესაბამისად

.

2.ხელშეკრულების ღირებუალება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4986.80 (ოთხიათასცხრასოთხმოცდაექვსი) ლარი 80 თეთრი) დღგ-ს ჩათვლით. დანართი №1-ის შესაბამისად

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;

3.2. ანგარიშსწორება იწარმოებს ნაერთი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე;

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

3.4. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება

3.5. დაფინანსების წყარო: 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შესაბამისი ფილიალის გამგე და მატერიალურად პასუხისმგებელი პირი.

5.საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2022 წლის 24 მარტის ჩათვლით;

5.2. საქონლის მიწოდების ადგილი: ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებ"-ის ფილიალები დანართის №2-ის შესაბამისად.

6.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს გაერთიანების კვებისა და სანიტარული ნორმების ინსპექტირების გან-ბის უფროსი;

6.1. ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია:

6.2. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება

6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება,

6.4. ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებს ოქმით, დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ანაზღაურება;

7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

8.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ს ოდენობით, ასეთი უფლებით მხარემ შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;

8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებისშესრულებისაგან.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით;

9.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით;

9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.6. მხარე ვალდებულია 10.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს;

9.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტათ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან);

12.2 ხელშეკრულება ძალაში შედის 2022 წლის 09 მარტიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

შემსყიდველი

ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავისსაბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“
მის: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20
ს/კ 216439325
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:TRESGE22
ა/ა GE24NB0330160200165022

KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Digitally signed by KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Date: 2022.03.09 17:33:15 +04'00'

გაერთიანების დირექტორი
ეკატერინე ბეციშვილი

მიმწოდებელი

შპს ,,ნიუ სთაილ გრუპი“
მის: ქ. რუსთავი, მ.კოსტავას №29-9ბ
ს/კ: 402148458
სს ,,საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდBAGAGE22
ა/აGE50BG0000000162010183

დირექტორი

ბაქარ ბუცხრიკიძე

Bakari Butskhrikidze
Digitally signed by Bakari Butskhrikidze

დანართი№1

საქონლის დასახელება	განზ-ბა	რაოდენობა	ერთ.ფასი	ერთ.ფასი
საკვები სოდა(0,450გრ- იანი)	ცალი	3640	1.37	4986.80
				4986.80

დანართი N2

საქონლის მიწოდების ადგილი/განაწილება

საქონლის მიწოდება განხორციელდება გაერთიანების ფილიალებში, შემდეგ მისამართებზე, შემდეგიოდენობით:			
№	ფილიალი	მისამართი	საქონლის დასახელება საჭმელი სოდა
1	№ 1	კონსტიტუციის ქ. № 5ა	180
2	№ 6	დონეცკ. მეტალურგთა ქ. № 20	72
3	№ 8	რუსთაველის გასასვლელი № 22ა	162
4	№ 10	ცურტაველის 2 ა	55
5	№ 11	მაჩაბელის ქ. № 21	200
6	№ 17	თოდრიას I ჩიხი	150
7	№ 18	ფალიაშვილის ქ. № 7	143
8	№20	კლდიაშვილის ქ. № 8	189
9	№ 21	კოსტავას ქ. № 17ა	188
10	№ 22	თოდრიას III ჩ № 7ა	182
11	№ 23	9 ძმა ხერხეულიძის № 7	183
12	№ 25	ახმეტელის ქ. №8	228
13	№27	მესხიშვილის III გას. № 4ა	220
14	№ 31	XX მ/რ-ნი	315
15	№32	XXI მ/რ-ნი	400
16	№ 33	XXI მ/რ-ნი	300
17	№ 36	XII მ/რ-ნი	262
18	№37	XVI მ/რ-ნი	187
19	№ 40	XVII მ/რ-ნი	300
20	№41	ტოლსტოის ქ. № 2	261
21	№ 43	XIX მ/რ-ნი	204
სულ რაოდენობა			4381
ერთეულის ფასი			1,14
ხელშეკრულების ღირებულება			4994,34

შემსყიდველი

მიმწოდებელი